კოდების მინიჭების წესი

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ყველა საგანმანათლებლო პროგრამას და სასწავლო კურსს ენიჭება შიდასაუნივერსიტეტო კოდი.
2. სასწავლო კურსს კოდს წინამდებარე წესის შესაბამისად ანიჭებს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით.
3. ყველა სასწავლო კურსს წინ უძღვის პროგრამის აღმნიშვნელი კოდი, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებს - რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი, მაგისტარტურას იგივე ციფრი ტირეთი გამოყოფილი მაგ: 8-8. პროგრამის კოდირება შემდეგნაირია: პროგრამის აღმნიშვნელი ციფრი, C (Course) სასწავლო კურსის რიგითობის ციფრი. თუ სასწავლო კურსი ისწავლება რამდენიმე ეტაპად (რამდენიმე სემესტრის განმავლობაში), მაშინ სასწავლო კურსის კოდს ემატება „-“ სიმბოლო და კურსის სწავლების რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი მაგ: 8C2; 8C2-1. (სპეციალობის ძირითადი და საერთო კურსებისათვის).
4. საფაკულტეტო კურსებისათვის კოდის მინიჭების წესი განისაზღვრება შემდეგნაირად: F (Faculty) და სასწავლო კურსის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი. მაგ: F7
5. არჩევითი კურსებისათვის კოდის მინიჭება ხდება შემდეგნაირად: el (elective) „-“ სიმბოლო და სასწავლო კურსის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი. მაგ: el-25.
6. საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსების კოდის მინიჭების წესი განისაზღვრება შემდეგნაირად: კოდის პირველ სიმბოლოდ განისაზღვრება U (University), შემდგომ ემატება კურსის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი. მაგ: U-1 „აკადემიური წერა“
7. პრაქტიკის კოდი შედგება პროგრამის კოდისა და პრაქტიკის აღმნიშვნელი სიმბოლოსაგან - „p“ (practice = p).
8. დამატებითი - minor სპეციალობის კოდირებისას პროგრამის/კონცენტრაციის კოდს ემატება დამატებითი „m“ სიმბოლო, „-“ სიმბოლო და სასწავლო კურსის რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი.
9. მასწავლებლის მომზადების პროგრამის და შესაბამისად ამ პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსებისათვის კოდების მინიჭება ხდება შემდეგნაირად: სიმბოლო „T“ (Teacher), იმ ფაკულტეტის კოდი, რომელსაც მიეკუთვნება პროგრამა. მაგ: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნერებათა ფაკულტეტზე - THf, მუსიკის ფაკულტეტზე TMf ხოლო სასწავლო კურსებს პროგრამის კოდი + სიმბოლო „-„ და რიგითობის ციფრი THf-1, TMf-1 და ა.შ.
10. უწყვეტი განათლების ცენტრის პროგრამებზე (Continuous Education Center) – CEC, და რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი. მაგ: CEC 1. სასწავლო კურსებს - მოცემულ კოდს ემატება კურსის აღმნიშვნელი სიმბოლო -„c“ და და რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი. მაგ: CEC 1c5